სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**ირანისტიკა/Persian Studies**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	**ირანისტიკის ბაკალავრი** **Bachelor of Persian Studies**
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	საბაკალავრო პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობა - 240 კრედიტი (**ECTS**), მათ შორის: 1. სპეციალობის სავალდებულო კურსები - 100 კრედიტი (**ECTS);** 2. სპეციალობის არჩევითი კურსები - 20 კრედიტი (**ECTS);** 3. ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზო სავალდებულო კურსები - 20 კრედიტი (**ECTS);** 4. ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზო არჩევითი კურსები (შესავალი კურსები) – 10 კრედიტი (**ECTS);** 5. ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზო არჩევითი კურსები (ევროპული ენა) – 10 კრედიტი (**ECTS);** 6. ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზისო არჩევითი კურსები (კლასიკური / აღმოსავლური ენა) - 10 კრედიტი (**ECTS);** 7. თავისუფალი კრედიტები - 10 კრედიტი (**ECTS)** 8. დამატებითი პროგრამა - 60 კრედიტი (**ECTS).** ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამა **8 სემესტრს** მოიცავს.
სწავლების ენა	**პროგრამა ხორციელდება ქართულ ენაზე**
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	**თეა შურღაია** - ფილოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ირანისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი. ტელ.: 599 167612 E-mail: tea.shurghaia@tsu.ge
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ერთიანი ეროვნული გამოცდები უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**პროგრამის მიზანია**, კურსდამთავრებული უზრუნველყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, ბაზრის მოთხოვნილების გათვალისწინებით დაგეგმილი, განათლებით -

	სპარსული ენისა და ლიტერატურის, ირანის ისტორიისა და თანამედროვე მდგომარეობის თაობაზე კონცენტრირებული, კომპლექსური ცოდნითა და უნარებით, რათა მან შეძლოს: 1. საფუძვლიანად გაეცნოს შესასწავლი დისციპლინის (ირანისტიკის) არსს, თეორიულ მიდგომებს; 2. დაეუფლოს სპარსული ენის პრაქტიკულ ასპექტებს, მოახდინოს კომუნიკაცია ენის მატარებელთან; 3. თარგმნოს და გამოიყენოს სპარსულენოვანი წყაროები (მხატვრული - კლასიკური და თანამედროვე, ინფორმაციული და ისტორიული ხასიათის ტექსტები, ოფიციალური დოკუმენტები და სხვ.); 4. ადეკვატურად გაიაზროს ისლამამდელი, ისლამური და თანამედროვე ირანის, ირანული ცივილიზაციის როლი რეგიონულ და გლობალურ ჭრილში; 5. მიმოიხილოს ქართულ-ირანული ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტი (ენობრივი, ლიტერატურული, ისტორიული, რელიგიური) და მოახდინოს მათი ინტერპრეტირება; 6. გააცნობიეროს ირანის ლინგვისტური და ეთნო-კულტურული თავისებურებები; ჩამოუყალიბდეს ტოლერანტული დამოკიდებულება განსხვავებული რელიგიისა (ისლამი) და კულტურის მქონე ქვეყნისა და ხალხის მიმართ.
სწავლის შედეგები	**საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:**
ა) ცოდნა და გაცნობიერება	1. იცნობს დისციპლინის არსს, დარგის ძირითად პრობლემატიკას და მიმართულებებს. 2. მიმოიხილავს შესწავლილი ენის (სპარსული) ლინგვისტურ, ლიტერატურათმცოდნეობით, კულტურულ ასპექტებს. 3. განმარტავს ირანის ისტორიისა და ქვეყნის თანამედროვე მდგომარეობის საკვანძო საკითხებს. 4. აღწერს და ხსნის საკითხებს სპარსულ-ქართული ურთიერთობების სხვადასხვა სფეროდან (ენა, ლიტერატურა, ისტორია).
ბ) უნარები	5. ახდენს დარგის აქტუალური საკითხების იდენტიფიცირებას, უსადაგებს მას მიღებულ თეორიულ ცოდნას და თანამედროვე მიდგომებს; 6. თარგმნის სხვადასხვა ტიპის (მხატვრული, ინფორმაციული, ისტორიული, ოფიციალური და სხვ.) ტექსტებს და პრაქტიკაში იყენებს ენის ცოდნას; 7. ისტორიული განვითარების თავისებურებების გათვალისწინებასთან ერთად, აფასებს ირანში მიმდინარე

	პროცესებს, ქვეყნის სტრატეგიულ როლს რეგიონულ და გლობალურ კონტექსტში. 8. ახდენს ქართულ-ირანული კონტაქტების ხასიათის იდენტიფიცირებას, ფაქტობრივი მასალის ანალიზს; 9.განმარტავს ირანული საზოგადოების, მისი ყოფითი კულტურის, ეთნიკურ, რელიგიურ და ლინგვისტურ თავისებურებებს.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	10. ახდენს პროფესიული კეთილსინდისერების დემონსტრირებას ენობრივი მედიატორის (თარჯიმნის, მთარგმნელის) როლში; 11. ჩამოყალიბებული აქვს მიუკერძოებელი, ტოლერანტული, სტერეოტიპებისგან დაცლილი, მიდგომა შესწავლილი ქვეყნის (ირანის) ეთნიკურ-კულტურული და რელიგიური სპეციფიკის მიმართ; 12. აკადემიური ეთიკისა და ქცევის ნორმების დაცვით ახდენს აკადემიური კეთილსინდისიერების დემონსტრირებას. **ირანისტიკის პროგრამის კურსდამთავრებულ ბაკალავრს შეუძლია, სწავლა გააგრძელოს:** • სამაგისტრო პროგრამაზე „ირანისტიკა“; • ირანის ისლამური რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში სპარსული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამებზე; • ასევე, ლინგვისტური, ლიტერატურათმცოდნეობითი, თარგმანთმცოდნეობითი, ისტორიული მიმართულების სამაგისტრო პროგრამებში.
სწავლება-სწავლის მეთოდები	• ვერბალური მეთოდი • ტექსტზე მუშაობის მეთოდი • ჯგუფური მუშაობა • როლური და სიტუაციური თამაშები • შინაარსზე დაფუძნებული სწავლება (CBI) • გონებრივი იერიში • დემონსტრირების მეთოდი • ელექტრონული სწავლების მეთოდი • შემთხვევის ანალიზი • დისკუსია
შეფასების სისტემა	პროგრამით გათვალისწინებულ დისციპლინებში გამოიყენება შეფასების შემდეგი სისტემა: ა) სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის შეფასება

	(სემესტრული აქტივობა); ბ) შუალედური გამოცდა: 1. წერითი დავალება 2. პრეზენტაცია; გ) სემესტრის დასკვნითი გამოცდა (წერითი / კომბინირებული). **შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:** ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა; ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; არსებობს ორი უარყოფითი შეფასება: ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; ზ) (F) ჩაიჭრა[1] – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება სასწავლო კურსის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, ფორმდება F -0 ქულა. მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა. **გამოცდაზე დაშვების წინაპირობა:** სტუდენტს სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ჰქონდეს <u>არანაკლებ 21 ქულა.</u> გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი აგროვებს დასკვნითი გამოცდის 50%.
დასაქმების სფეროები	**ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების ადგილები:**

[1] სემესტრის საბოლოო გამოცდაზე ჩაჭრილი სტუდენტი, სხვა კომპონენტებში მისი მიღწევების შეფასების მიუხედავად, ითვლება ჩაჭრილად.

	1. **სახელმწიფო სტრუქტურები:** ➢ საგარეო საქმეთა სამინისტრო; ➢ შინაგან საქმეთა სამინისტრო; ➢ თავდაცვის სამინისტრო; ➢ ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; ➢ პოლიცია; ➢ უშიშროების სამსახურები; ➢ ენის სახელმწიფო დეპარტამენტი; ➢ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; ➢ საჯარო რეესტრი; ➢ აეროპორტის ინფრასტრუქტურა; ➢ ეროვნული თავდაცვის აკადემია; ➢ სამხედრო-სასწავლო ბაზები; ➢ ანალიტიკური და სტრატეგიული კვლევების ცენტრები; ➢ მუზეუმები; ➢ ბიბლიოთეკები; ➢ საჯარო სკოლები. 2) **საერთაშორისო ორგანიზაციები:** ➢ ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩო; ➢ ირანის საელჩოს კულტურის განყოფილება; ➢ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი; ➢ საქართველოს საელჩო ირანის ისლამურ რესპუბლიკაში; 3) **მედიასაშუალებები:** ➢ რადიო-ტელევიზია; ➢ პრესა; ➢ სოციალური მედია. 4) **კერძო სექტორი:** ➢ ირანული კომპანიები (სავაჭრო, სამშენებლო, საინვესტიციო და სხვ.) ➢ ირანული და ქართული ტურისტული კომპანიები; ➢ სასტუმროები; ➢ სანოტარო და სათარჯიმნო ბიუროები; ➢ ენის შემსწავლელი ცენტრები; ➢ ირან-საქართველოს სავაჭრო პალატები ➢ გამომცემლობები.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს. **შენიშვნა:** ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის

	განყოფილება ირანისტიკის სპეციალობის სტუდენტებს უფარავს სწავლის საფასურის 50%-ს.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამას განახორციელებს კვალიფიკაცირებული და პედაგოგიურ თუ სამეცნიერო საქმიანობაში გამოცდილი **ერთი პროფესორი, ხუთი ასოცირებული პროფესორი და ორი მოწვეული პედაგოგი.** ყველა მათგანი მეცნიერებათა დოქტორია (იხ. **CV და შრომების სია**): 1. **პროფ. ნანი გელოვანი** 2.**ასოც. პროფ. თეა შურღაია** (საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი); 3. **ასოც. პროფ. მარინე ალექსიძე;** 4. **ასოც. პროფ. ფატმან ანთაძე-მალაშხია;** 5. **ასოც. პროფ. მზია ბურჯანაძე;** 6. **ასოც. პროფ. მანანა კვაჭაძე;** 7. ისტ. მეცნ. დოქტ. **თეა პიტიურიშვილი** (მოწვეული ლექტორი); 8. ფილ. დოქტ. **ეკატერინე გოგალაძე** (თსუ ენათა შემსწავლელი ცენტრის პედაგოგი, მოწვეული ლექტორი). ასევე თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტისა და შესაბამისი პროფილის სხვა ს/ს ინსტიტუტების აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორები: 1. მირიან მახარაძე, ასოცირებული პროფესორი; 2. ირმა რატიანი, პროფესორი; 3. ინგა სანიკიძე, ასოცირებული პროფესორი; 4. თინათინ ბოლქვაძე, ასოცირებული პროფესორი; 5. რუსუდან ასათიანი, ასოცირებული პროფესორი; 6. მაკა ელბაქიძე, ასოცირებული პროფესორი; 7. ელგუჯა ხინთიბიძე, პროფესორი 8. მამია სურმავა, ასოცირებული პროფესორი; 9. მარინე ფუთურიძე, ასოცირებული პროფესორი; 10. ირინე კოშორიძე, ასოცირებული პროფესორი; 11. ქეთევან ხუციშვილი, პროფესორი; 12. რევაზ გაჩეჩილაძე, პროფესორი; 13. თამარ აბულაძე, ფილოლოგიის დოქტორი, მოწვეული ლექტორი. 14. **ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისთვის ირანისტიკის კათედრაზე არსებობს ყველა ტექნიკურ-მატერიალური პირობა, კერძოდ**: 1. ლექცია-სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობისათვის ირანისტიკის სპეციალობის სტუდენტებისა და პროფესორების

	განკარგულებაშია თსუ-ს მე-5 კორპუსის (ი. ჭავჭავაძის გამზ. N36) **ორი, ტექნიკურად სრულად აღჭურვილი, ოთახი N101 და N112**, რომლებიც ემსახურება მხოლოდ ირანისტიკის მიმართულებას. ოთახები გაარემონტა, ტექნიკითა და სასწავლო ინვენტარით (მაგიდები, სკამები, წიგნის კარადები, დაფები და ა.შ.) აღჭურვა თბილისში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილებამ; 2. აღნიშნულ ოთახებში არის კომპიუტერები ხმის გამაძლიერებლებით, პრინტერები, ტელევიზორები სატელიტური ანტენით, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს შეუძლიათ **ირანული** (სპარსულენოვანი) **არხების** ყურება, ვიდეომაგნიტოფონი (კათედრაზე არსებული სპარსულენოვანი მხატვრული და დოკუმენტური ფილმებისთვის), კონდიციონერები (ზამთარ-ზაფხულის რეჟიმით, რომლის წყალობითაც სტუდენტებს მეცადინეობისთვის კომფორტული გარემო აქვთ); 3. ირანისტიკის კათედრას აქვს **უმდიდრესი ბიბლიოთეკა,** რომელიც აღწერილია და განთავსებულია კათედრის კუთვნილ ორ ოთახში. სტუდენტებს საშუალება აქვთ, გარკვეული ვადით გაიტანონ ან ადგილზე გამოიყენონ სასურველი წიგნი. ბიბლიოთეკის ფონდი წლების მანძილზე იქმნებოდა როგორც ირანის საელჩოსა და მისი კულტურის განყოფილების მიერ საჩუქრად გადმოცემული წიგნებითა და ჟურნალებით, ასევე, კათედრის ყოფილი წევრების (პროფ. კ. ფაღავა, დოც. თ. კეშელავა, დოც. ლ. თუშიშვილი, ც. ბოჭორიშვილი) ოჯახების მიერ შემოწირული კერძო ბიბლიოთეკების მეშვეობით. ბიბლიოთეკა მდიდრდებოდა ირანიდან ჩამოსული სტუმრებისა და პედაგოგების მიერ ნაჩუქარი წიგნებით, ლექსიკონებითა და სასწავლო ლიტერატურით. ცალკე კარადა ეთმობა ირანისტიკის კათედრის წევრების წიგნად გამოცემულ სამეცნიერო ნაშრომებსა და მხატვრულ თარგმანებს. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია სპეციალური (ირანისტიკა და აღმოსავლეთმცოდნეობა), აგრეთვე, მომიჯნავე დისციპლინების სამეცნიერო ლიტერატურა, როგორც ქართულ და სპარსულ, ასევე, რუსულ და ევროპულ ენებზე. მათ შორის არის როგორც უახლესი ლექსიკონები (ორენოვანი, განმარტებითი) და სახელმძღვანელოები, ასევე, უნიკალური და რარიტეტული გამოცემები, მხატვრული ლიტერატურა, ირანში გამომავალი სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალები, თარგმანები, ირანული ფილმების DVD-ები, სასწავლო CD-ები და DVD-ები. ირანის საელჩოს კულტურის განყოფილება კათედრას მუდმივად ამარაგებს უახლესი **სახელმძღვანელოებით**, რომლებიც

	სტუდენტებს **უფასოდ გადაეცემათ**. უახლესი სახელმძღვანელოების Pdf და აუდიოფაილები იტვირთება ელექტრონული სწავლების პლატფორმაზე შესაბამის კურსებში და/ან სტუდენტებს ელექტრონულ ფოსტაზე ეგზავნებათ. ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამაში აქტიურად გამოიყენება ელექტრონული რესურსები: **სპარსული ქრესტომათიის სამი ტომი, სპარსული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელო** (დ. კობიძე) და ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამისთვის საჭირო რამდენიმე სხვა გამოცემა ატვირთულია თსუ-ს ციფრულ ბიბლიოთეკაში (https://ebooks.tsu.ge/) და ხელმისაწვდომია თსუ ელექტრონული ფოსტის მფლობელისთვის. **კლასიკური სპარსული ლიტერატურის ტექსტებისთვის,** აგრეთვე, არსებობს ოფიციალური ვებგვერდი, რომელზეც წვდომა თავისუფალია: https://ganjoor.net/ აქვე სტუდენტებს სასურველი ტექსტის აუდიოჩანაწერის გამოყენებაც შეუძლიათ. რეკომენდაციისა და დამხმარე საშუალების სახით სტუდენტებს ვთავაზობთ **სპარსული მხატვრული ლიტერატურის ნიმუშების (პოეზია, პროზა) აუდიოჩანაწერების** მოსმენას თავისუფალი წვდომის მისამართზე: https://www.navaar.ir/catalog/genre/9. ირანიდან მოწვეულმა პედაგოგებმა ლეილა რეზაიმ და აბას ჯაჰედჯაჰმა თსუ-ში ჩვენი კათედრის სტუდენტებთან მუშაობის პერიოდში და მათთან აპრობაციის საფუძველზე მოამზადეს **საპილოტე ონლაინ კურსი** http://persian4you.com/, რომელიც, ასევე, დამხმარე საშუალებად გამოიყენება ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამაში. კათედრა თანამშრომლობს ირანის ისლამური რესპუბლიკის საადის ორგანიზაციასთან, რომელიც შეიმუშავებს სპარსული ენის სახელმძღვანელოებს (სწორედ ამ ორგანიზაციის მიერ გამოცემული უახლესი სახელმძღვანელოები გამოიყენება ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამაში). ამ ორგანიზაციის ვებგვერდიდან შესაძლებელია სახელმძღვანელოების აუდიოფაილების თავისუფალი ჩამოტვირთვა: https://books.saadifoundation.ir/ თავისუფალი წვდომისაა, აგრეთვე, სასაუბრო სპარსული ენის შემსწავლელი ონლაინ კურსი: https://persianlanguageonline.com/learn/, რომელიც გამოიყენება ფაკულტატურად და/ან სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობისთვის. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამას, არსებული რესურსებით, ერთდროულად შეუძლია მოემსახუროს არანაკლებ 20-25 სტუდენტს.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თსუ-ს ჰუმ-ანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამეცნიერო და საგანმანთლებლო ღონისძიებების ჩატარებას.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	1. პროგრამასთან სისტემატიურად თანამშრომლობს მოწვეული ირანელი პედაგოგი (ირანის მხარის დაფინანსებით), რომელიც სტუდენტებს ეხმარება სასაუბრო სპარსულის დახვეწაში; 2. სტუდენტები, ირანის მხარის სრული დაფინანსებით, მონაწილეობენ სპარსული ენის ცოდნის დონის ასამაღლებელ სხვადასხვა ხანგრძლივობის კურსებში; 3. პროგრამის კურსდამთავრებულებს საშუალება ეძლევათ, ირანის მხარის დაფინანსებით, სწავლა გააგრძელონ ირანის ისლამური რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში; 4. თბილისში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილება ყოველწლიურად აფინანსებს ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამაში მონაწილე სტუდენტებს: პირველ და მეორე სემესტრის სწავლის საფასურს მთლიანად უფარავს, ხოლო დანარჩენი სემესტრებისას - 50% (წარჩინებულ სტუდენტებს); 5. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება თეირანისა და ალამე თაბათაბაის უნივერსიტეტებთან, ვთანამშრომლობთ თავრიზისა და სპარსეთის ყურის (ბუშეჰრი, ირანი) უნივერსიტეტთანაც. პროგრამაში ჩართულ პერსონალს აქვს პირადი კონტაქტები მსოფლიოს ირანისტიკურ ცენტრებთან. ამ კონტაქტების ერთ-ერთი ბოლო მაგალითია 2021 წელს ჩვენი პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მონაწილეობა **კოლუმბიის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ საპილოტე ტესტირებაში,** რომელიც მიზნად ისახავდა ენის **(სპარსული)** კომპეტენციის შემოწმებას სცენარზე დაფუძნებული შეფასების სისტემით (SBA): https://americas.britishcouncil.org/new-directions/about/speakers/professor-james-purpura 6. თსუ ირანისტიკის კათედრასთან თანამშრომლობით საქართველოში ტარდება სპარსული ენის საერთაშორისო სასერტიფიკაციო გამოცდები (SAMFA), სადაც თსუ კურსდამთავრებულების რიცხვი ყოველთვის სჭარბობს სხვა

	უნივერსიტეტებისას; 7. თსუ ირანისტიკის კათედრის მასპინძლობითა და ხელშეწყობით ტარდება ირანისტიკული ოლიმპიადები. გამარჯვებულები ფულადი პრიზებით ჯილდოვდებიან; 8. ირანის საელჩოს კულტურის განყოფილებასთან მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში ეწყობა არაერთი კულტურული ღონისძიება (ირანული ფილმების კვირეული, სტუდენტური ფოტოგამოფენები, სპარსული კალიგრაფიის ვორკშოპები, ირანელ ხელოვანთა გამოფენები საქართველოში, შეხვედრები ირანელ მწერლებთან და ხელოვანებთან, ირანული ტრადიციული მუსიკის კონცერტები, წიგნების პრეზენტაციები და სხვ.), სადაც სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, საკუთარი ნიჭი გამოავლინონ და, ამასთან, ეზიარონ შესასწავლი ქვეყნის კულტურასა და ხელოვნებას; 9. ირანისტიკის კათედრა მჭიდროდ თანამშრომლობს, აგრეთვე, სტუდენტთა დასაქმების მიმართულებით. ირანის საელჩოს კულტურის განყოფილება სტუდენტებს სთავაზობს მოკლევადიანი პროექტების დაფინანსებას, ასევე, თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში ირანულ კომპანიებში არსებულ ვაკანსიებს თარჯიმნებისთვის; 10. ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამის კურსები, როგორიცაა: ირანის ისტორიასთან, რელიგიასთან, სპარსული ლიტერატურის ისტორიასთან, ირან-საქართველოს ენობრივ და ლიტერატურულ ურთიერთობებთან დაკავშირებული სავალდებულო კურსები, ბაკალავრს აძლევს დამხმარე სისტემურ ცოდნას საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის კვლევისთვის და, ამ მხრივ, გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს მას დასახელებული სფეროების პრობლემატიკით დაინტერესების შემთხვევაში.